სადამფუძნებლო შეთანხმება

(არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სარეგისტრაციო მონაცემები/სარეგისტრაციო განაცხადი)

* - სიმბოლოთი აღნიშნული ველების შევსება სავალდებულოა

სამართლებრივი ფორმა --- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

***საფირმო სახელწოდება** : „აქტუარებისა და ფინანსური ანალიტიკოსების ასოციაცია“
უნდა განისაზღვროს ქართულ ენაზე, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესით

*** საფირმო სახელწოდება ინგლისურ ენაზე :** „Association of Actuaries and Financial Analysts“
უნდა შეესაბამებოდეს ქართულ ენაზე განსაზღვრულ სახელწოდებას

*** იურიდიული მისამართი**: საქართველო, ქ.თბილისი, ა.პოლიტკოვსკაიას ქ. №20, ც ბლოკი, ბინა №124ა
ორგანიზაციის ფიზიკური (ფაქტობრივი) მისამართი

ორგანიზაციის ელექტრონული ფოსტის მისამართი: info@aafa.ge

(არსებობის შემთხვევაში - ელექტრონული ფოსტის მისამართი, განსაზღვრული უნდა იყოს ლათინული შრიფტით)

ორგანიზაციის ტელეფონის ნომერი
(არსებობის შემთხვევაში)

***დამფუძნებლები**
ფიზიკური პირის შემთხვევაში სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, იურიდიული პირის შემთხვევაში საფირმო სახელწოდება საიდენტიფიკაციო კოდი, იურიდიული მისამართი:

1. ტორონჯაძე თეიმურაზ ამირანის-ძე, პ/ნ 01026001039, დაბ. თარიღი 03/04/1949, მცხოვრები: კ. გამსახურდიას გამზ. ბ 10.
2. ლაზრიევა ნანული ლაზარეს-ას, პ/ნ 01010006372,დაბ. თარიღი 21/12/1940, მცხოვრები: ნუცუბიძის პლატო, II მიკრო, II კვ, კორპ 7, ბინა32.
3. ჯამბურია ლევან გივის-ძე, პ/ნ, 01013017266, დაბ. თარიღი 26/06/1954 წელს, მცხოვრები: ვაჟა-ფშაველას გამზირი, III კვ, მე-14 კორპ, ბინა 134.
4. მირზაშვილი გურამ ირაკლის-ძე, პ/ნ 01009004411 დაბ. თარიღი 21/08/1950 წელს, მცხოვრები: ვაჟა-ფშაველას გამზირი, V კვ, 4 კორპ, ბინა 117.
5. მანია მიხეილ გვანჯის-ძე, პ/ნ 01018000821; დაბ. თარიღი 09/07/1953, მცხოვრები: ი. ჭავჭავაძის გამზირი 2.
6. ღლონტი ომარ ალექსანდრეს-ძე, პ/ნ 01018003961 დაბ. თარიღი 12/10/1939 წელს, მცხოვრები: კეკელიძის 18.
7. ქავთარაძე თამარ გივის-ას, პ/ნ 01024032002 დაბ. თარიღი 25/12/1975 წელს, მცხოვრები: კ. გამსახურდიას გამზირი, II კვ, მეცხრე კორპ, ბინა 6.

***ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონე პირი/პირები**
(ფიზიკური პირის შემთხვევაში სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი - ასევე უფლებამოსილების ვადა (თუ ასეთი ვადა განსაზღვრულია)

ანა ხარატიშვილი პ/ნ 01023008134
საცხოვრებელი ადგილის მისამართ: ქ.თბილისი, ა.პოლიტკოვსკაიას ქ. №20, ც ბლოკი, ბინა №124ა;
უფლებამოსილების ვადა: 2 წელი - 2024 წლის 4 მარტამდე.

***ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონე პირების წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლები**

(უნდა განისაზღვროს ხელმძღვანელი ორგანოს წევრები ერთობლივად (ერთად) წარმოადგენენ ორანიზაციას, თუ ერთპიროვნულად (ცალ-ცალკე). თუ ხელმძღვანელი ორგანოს წევრებს აქვთ განსხვავებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, ასეთი უფლებამოსილების ფარგლები უნდა მიეთითოს თითოეული ხელმძღვანელი ორგანოს წევრთან მიმართებით)

ანა ხარატიშვილი პ/ნ 01023008134

*** სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის (ელექტრონულ მისამართის) მართვაზე პასუხისმგებელი ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონე პირი**

(რამდენიმე ხელმძღვანელი/წარმომადგენელი პირის არსებობის შემთხვევაში უნდა მიეთითოს მხოლოდ ერთი პირის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, იურიდიული პირის შემთხვევაში სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი)

ანა ხარატიშვილი პ/ნ 01023008134

*** სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის (ელექტრონულ მისამართის) მართვაზე პასუხისმგებელი ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონე პირის ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი**

akharatishvili84@gmail.com

(ელექტრონული ფოსტის მისამართი, განსაზღვრული უნდა იყოს ლათინული შრიფტით)

მობ.: + 995 599157705

(საქართველოში მოქმედი მობილური ოპერატორის მობილური ტელეფონის ნომერი)

მმართველი ორგანო: წევრთა საერთო კრება, გამგეობა

გამგეობის წევრები:

(ფიზიკური პირის შემთხვევაში სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი - ასევე უფლებამოსილების ვადა (თუ ასეთი ვადა განსაზღვრულია))

1. ანა ხარატიშვილი, პ/ნ 01023008134, მისამართი: ა.პოლიტკოვსკაიას ქ. №20, ც ბლოკი, ბინა 124ა
2. გურამ მირზაშვილი, პ/ნ 01009004411, მისამართი: ვაჟა-ფშაველას გამზ, Vკვ, I კორპ, ბინა 117
3. ხათუნა ჯიშიაშვილი, პ/ნ 41001005591, მისამართი: თ. ჭოველიძის 1 #21
4. ლამარა ჯადუგიშვილი, პ/ნ 13001009880, მისამართი: ვაზისუბანი, III მკ/რ IIკვ, 15 კორპ, ბ70
5. დავით ჯოხაძე, პ/ნ 01017023021, მისამართი: მაჩაბლის ქ.#18, ბინა 10
6. გიორგი აბაშიძე, პ/ნ 01005019196, , მისამართი: დიღმის მასივი, III კვარტალი, მე-15 კორპუსი, ბინა N68

*** საქმიანობის მიზანი:**

- ასოციაციის მიზანია ხელი შეუწყოს აქტუარისა და ფინანსური ანალიტიკოსის პროფესიების საქართველოში დამკვიდრებასა და განვითარებას.

დანართი: წესდება

1. ანა ხარატიშვილი .....

დამფუძნებლის/ხელმძღვანელობაზე წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი ხელმოწერა

თარიღი: ----------

დანართი

„აქტუარებისა და ფინანსური ანალიტიკოსების ასოციაციის"

წესდება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. **„აქტუარებისა და ფინანსური ანალიტიკოსების ასოციაცია" (ინგ.: „Association of Actuaries and Financial Analysts")** (შემდგომში **„ასოციაცია")** წარმოადგენს საზოგადოებრივ, პროფესიულ გაერთიანებას, რომელიც ნებაყოფლობით საწყისებზე აერთიანებს აქტუარებსა და ფინანსურ ანალიტიკოსებს, ასევე, იმ პირებს, რომელთა საქმიანობა ხელს უწყობს აქტუარისა და ფინანსური ანალიტიკოსის პროფესიათა საქართველოში დამკვიდრებას და განვითარებას.
2. ასოციაცია არის წევრობაზე დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად.
3. ეს წესდება წარმოადგენს ასოციაციის დამფუძნებელთა შორის დადებული სადამფუძნებლო შეთანხმების ნაწილს, რომელიც გამოხატავს მათ ურთიერთთანხვედრ ნებას და სავალდებულო ძალის მქონეა დამფუძნებლებისა და წევრებისთვის.
4. ასოციაცია წარმოშობილად ითვლება და იურიდიული პირის სტატუსს იძენს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.
5. ასოციაცია თავისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) მდგომარეობისაგან დამოუკიდებელია. ასოციაციის პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი თავისი ქონებით.
6. ასოციაციას აქვს განკერძოებული ქონება, დამოუკიდებელი ბალანსი, მრგვალი ბეჭედი, კუთხური ტვიფარი, საანგარიშსწორებო და სავალუტო ანგარიშები საქართველოს საბანკო დაწესებულებებში.
7. ასოციაციის ვალდებულებებისათვის მისი დამფუძნებელი, წევრი, ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი (პირები) პასუხს არ აგებს.
8. ასოციაცია პასუხს არ აგებს თავისი დამფუძნებლების, წევრების, ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) ვალდებულებებისთვის.
9. ასოციაცია უფლებამოსილია განახორციელოს თავისი უფლებები და მოვალეობები, იყოს მოსარჩლე და მოპასუხე სასამართლოში, ან ნებისმიერი სხვა ფორმით დავის განხილვისას, შეასრულოს სახელშეკრულებო სამუშაოები, აწარმოოს საგამომცემლო საქმიანობა, თავისი პროფილით აწარმოოს სამეცნიერო და საგანმანათლებლო-პედაგოგიური მოღვაწეობა, დააფუძნოს თავისი პროფილით მომუშავე ფირმები.
10. ასოციაცია პასუხს არ აგებს სახელმწიფოს ვალდებულებებზე, ისევე, როგორც სახელმწიფო არ აგებს პასუხს ასოციაციის ვალდებულებებზე.

11. ასოციაციის მიზანია არასამეწარმეო (არაკომერციული) საქმიანობა. ასოციაცია უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს მისი მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება ასოციაციის დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებს შორის დაუშვებელია. ასოციაცია უფლებამოსილია მისი საქმიანობის განსახორციელებლად შეიძინოს/მიიღოს მატერიალური და არამატერიალური ქონება, შემოწირულობები.
12. ასოციაციის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ გასხვისება ემსახურება ასოციაციის საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს.
13. ასოციაციას თავისი მიზნების მისაღწევად უფლება აქვს, განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა წინამდებარე წესდებით გათვალისწინებული.
14. ასოციაციის მიმართ ვრცელდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლით საქმიანი წერილისა და ვებგვერდისთვის დადგენილი წესები.
15. ასოციაციის იურიდიული მისამართია: **საქართველო, ქ.თბილისი, ა.პოლიტკოვსკაიას ქ. №20, ც ბლოკი, ბინა №124ა.**
16. ასოციაცია დამოუკიდებელია და მის საქმიანობაში ჩარევა ან რაიმე ზემოქმედების მოხდენა დაუშვებელია, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 2. ასოციაციის მიზნები და ამოცანები

1. ასოციაციის მოღვაწეობის ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს აქტუარისა და ფინანსური ანალიტიკოსის პროფესიების საქართველოში დამკვიდრებასა და განვითარებას.
2. ძირითადი მიზნის მისაღწევად ასოციაცია ისახავს შემდეგ ამოცანებს:
   - 2.1 მოქმედი აქტუარებისა და ფინანსური ანალიტიკოსების გაერთიანება;
   - 2.2 აქტუარისა და ფინანსური ანალიტიკოსის პროფესიების პოპულარიზაცია;
   - 2.3 საგანმანათლებლო და პედაგოგიური მოღვაწეობა, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადების ხელშეწყობა;
   - 2.4 აქტუართა და ფინანსურ ანალიტიკოსთა საკვალიფიკაციო გამოცდების ორგანიზება, ხელშეწყობა და ჩატარება;
   - 2.5 პროფესიული სერტიფიცირების ორგანიზება;
   - 2.6 შესაბამისი სამეცნიერო და პროფესიული ინფორმაციის გავრცელება, უცხოური გამოცდილების შესწავლა და საქართველოში დანერგვა;
   - 2.7 მოქმედ სადაზღვევო და ფინანსურ სტრუქტურებთან მჭიდრო ურთიერთობა, მათ მიერ წამოყენებული პრაქტიკული პრობლემების გადაჭრაში მონაწილეობა;
   - 2.8 თანამედროვე აქტუარული და ფინანსური ლიტერატურით აღჭურვილი საბიბლიოთეკო ქსელის განვითარება;
   - 2.9 სახელმწიფო სტრუქტურებთან, ფინანსურ ინსტიტუტებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;

2.10 ასოციაციის წევრების დასაქმების ხელშეწყობა;

2.11 საჭიროების შემთხვევაში ასოციაციის წევრების ინტერესების და უფლებების დაცვა;

2.12 პროფესიული სტანდარტებისა და ეთიკური ნორმების დანერგვა და დაცვა;

2.13 მონაწილეობა როგორც საქართველოს, ისე სხვა ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების ინსტიტუციური და პროგრამული აკრედიტაციის პროცესში, ასევე კონკრეტული სასწავლო-სამეცნიერო საკითხების შემუშავებასა და დანერგვაში;

2.14 საქმიანი, შემოქმედებითი და მეგობრული კავშირების განვითარება სხვა ქვეყნების პროფესიულ კავშირებთან, ასოციაციებთან, საზოგადოებებთან, უნივერსიტეტებთან, სამეცნიერო ცენტრებთან.

მუხლი 3. ასოციაციის საქმიანობა

1. ასოციაცია უფლებამოსილია განახორციელოს კანონით ნებადართული შემდეგი სახის საქმიანობა:
   1.1 სახელშეკრულებო საფუძველზე შეასრულოს სადაზღვევო და საფინანსო ორგანიზაციების დაკვეთები, გაუწიოს მათ კონსულტაცია;
   1.2 აწარმოოს პედაგოგიური მოღვაწეობა, ჩამოაყალიბოს თავისი პროფილის შესაბამისი სასწავლო კურსები;
   1.3 მონაწილეობა მიიღოს უმაღლეს სასწავლებლებში თავისი პროფილის შესაბამისი საგნების წარმართვაში;
   1.4 აწარმოოს სამეცნიერო, საგამომცემლო და მთარგმნელობითი საქმიანობა;
   1.5 განახორციელოს თავისი პროფილის შესაბამისი პროფესიული სერტიფიცირება;
   1.6 სამეურნეო ანგარიშის პრინციპზე გახსნას თავისი პროფილით მომუშავე ფირმები;
   1.7 აწარმოოს კანონით ნებადართული სხვა საქმიანობა.

მუხლი 4. ასოციაციის მართვა

1. ასოციაციის უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს წევრთა საერთო კრება და გამგეობა. წევრთა საერთო კრება (მორიგი საერთო კრება) ტარდება წელიწადში ერთხელ მაინც, რომელზეც განიხილება წლიური შედეგები და დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები. სხვა შემთხვევებში ტარდება რიგგარეშე საერთო კრება.
2. რიგგარეშე კრება მოიწვევა პრეზიდენტის, გამგეობის, ეთიკის კომიტეტის, სერტიფიცირების საბჭოს, სარევიზიო კომისიის ან ასოციაციის წევრთა საერთო რაოდენობის სულ ცოტა ერთი მესამედის ინიციატივით.
3. წევრთა საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მასში მონაწილეობას ღებულობს წევრთა სულ ცოტა ორი მესამედი მაინც. კრება გადაწყვეტილებას ღებულობს ხმების უბრალო უმრავლესობით.
4. წევრთა საერთო კრება ტარდება კრების მოწვევის შესახებ შეტყობინების გამოქვეყნებიდან ან წევრებისთვის მოსაწვევის გაგზავნიდან სულ ცოტა 14 დღის შემდეგ. მოსაწვევის გაგზავნა შესაძლებელია დაზღვეული წერილით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით, რომელიც იძლევა ადრესატის მიერ ინფორმაციის მიღების დადასტურების საშუალებას. წევრთა საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინების გამოქვეყნებად მიიჩნევა კრების

მოწვევის თაობაზე ინფორმაციის ერთიანი ელექტრონული პორტალის სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე (ელექტრონულ მისამართზე) განთავსება. წევრთა საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინება ეგზავნება ყველა იმ წევრს, რომელიც კრების მოწვევის დღეს ირიცხება ასოციაციის წევრად. ხმის უფლების გამოყენების უფლებამოსილების მქონე პირის სარწმუნო იდენტიფიცირებისთვის პასუხისმგებელი არიან საერთო კრების თავმჯდომარე და კრების მომწვევი ორგანო. საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინება/მოსაწვევი უნდა შეიცავდეს წევრთა საერთო კრების დღის წესრიგს. წევრს უფლება აქვს, საერთო კრების მომწვევს მოსთხოვოს კრების დღის წესრიგის თითოეული საკითხის თაობაზე განმარტებების გაცემა და წარადგინოს თავისი მოთხოვნა/აზრი. თუ წევრის მოთხოვნა წევრთა საერთო კრებამდე სულ ცოტა 3 დღით ადრე წერილობით იქნება წარდგენილი, ის უნდა დაკმაყოფილდეს და შეტანილი უნდა იქნეს დღის წესრიგში ერთ-ერთ საკითხად. წევრთა საერთო კრების ჩატარების ადგილი და დრო გაუმართლებლად არ უნდა ზღუდავდეს წევრის საერთო კრებაში მონაწილეობის უფლებას.

5. თუ წევრთა საერთო კრებას ყველა წევრი ესწრება და ისინი თანახმა არიან კრების ჩატარებასა და გადაწყვეტილების მიღებაზე, კრების ჩატარება შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, თუ კრების მოწვევის კანონით ან/და ამ წესდებით დადგენილი წესები არ იქნა დაცული. წევრის თანხმობად მიიჩნევა, თუ იგი არ მოითხოვს საერთო კრების სხვა დროს ჩატარებას მისი მოწვევის პროცედურის დარღვევის გამო.
6. წევრთა საერთო კრების სათანადოდ მოწვევისა და ჩატარებისთვის პასუხისმგებელია ამ კრების მომწვევი პირი/ორგანო. წევრთა საერთო კრების მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების შესრულება სავალდებულოა წევრებისა და ხელმძღვანელი ორგანოსათვის. წევრთა საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს იმ საკითხზე, რომელიც წესდებით საერთო კრების უფლებამოსილებას განეკუთვნება.
7. წევრთა საერთო კრება ირჩევს საერთო კრების თავმჯდომარეს კრებაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით. წევრთა საერთო კრების მიმდინარეობას ხელმძღვანელობს, ოქმს ადგენს და ხელს აწერს კრების თავმჯდომარე.
8. საერთო კრების ოქმში უნდა აღინიშნოს:
   - 8.1 ასოციაციის საფირმო სახელწოდება და საიდენტიფიკაციო ნომერი;
   - 8.2 საერთო კრების ჩატარების ადგილი და თარიღი;
   - 8.3 მითითება საერთო კრების მოწვევის პროცედურის დაცვასა და ამ კრების გადაწყვეტილებაუნარიანობაზე;
   - 8.4 საერთო კრების თავმჯდომარის საიდენტიფიკაციო მონაცემები;
   - 8.5 საერთო კრების დღის წესრიგი, საერთო კრების გადაწყვეტილება, კენჭისყრის შედეგების მითითებით.
9. საერთო კრებას უფლება აქვს გადაწყვიტოს ყველა საკითხი, რომელიც ასოციაციის საქმიანობას ეხება:
   - 9.1 შეიტანოს ცვლილებები და დამატებები ასოციაციის წესდებაში, რაზედაც უნდა ეცნობოს მარეგისტრებელ ორგანოს;
   - 9.2 დაამტკიცოს ასოციაციის მუშაობის ძირითადი მიმართულებები და საქმიანობის გეგმები, მიიღოს გადაწყვეტილებები ასოციაციის ძირითადი და მიზნობრივი პროგრამების შემუშავებისა და რეალიზაციის შესახებ;

9.3 აირჩიოს ასოციაციის პრეზიდენტი, გამგეობის, ეთიკის კომიტეტის, სერტიფიცირების საბჭოს და სარევიზიო კომისიის წევრები და მოისმინოს მათი ანგარიში;
9.4 დაამტკიცოს ასოციაციის ორგანიზაციული სტრუქტურა;
9.5 განსაზღვროს წლიური საწევროს ოდენობა და მისი გადახდის წესი;
9.6 მიიღოს გადაწყვეტილება ასოციაციის ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შესახებ;
9.7 დაამტკიცოს სალიკვიდაციო ბალანსი.
9.8 მიიღოს გადაწყვეტილება ყველა იმ საკითხზე, რომელიც კანონითა და ამ წესდებით არ განეკუთვნება სხვა ორგანოს/პირის კომპეტენციას.

მუხლი 5. ასოციაციის წევრობა

1. ასოციაციის წევრი შეიძლება გახდეს საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ მცხოვრები პირი, რომელიც ეწევა აქტუარის ან ფინანსური ანალიტიკოსის საქმიანობას, ან დაინტერესებულია საქართველოში ამ პროფესიების განვითარებით, იზიარებს ასოციაციის მიზნებს და აღიარებს წინამდებარე წესდებას.
2. ასოციაციის წევრად მიღება ხდება ნებაყოფლობითი წერილობითი განცხადების თანახმად, ასოციაციის გამგეობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე.
3. ასოციაცია ირჩევს საპატიო წევრებს ამ უკანასკნელების თანხმობის შემთხვევაში.
4. ასოციაციის წევრობიდან გასვლა ხდება:
   4.1 ნებაყოფლობით, წერილობითი განცხადების საფუძველზე;
   4.2 საერთო კრების ან ასოციაციის გამგეობის გადაწყვეტილებით იმ შემთხვევაში თუ ასოციაციის წევრი:

   ა) სათანადოდ არ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას;
   ბ) არ ასრულებს საერთო კრებისა და გამგეობის გადაწყვეტილებას;
   გ) ჩაბმულია საქმიანობაში, რომელიც ეწინააღმდეგება წესდებით გათვალისწინებულ მიზნებს;
   დ) არღვევს ასოციაციის წესდებას;
   ე) დროულად არ იხდის საწევრო გადასახადებს;
   ვ) მხილებულია კანონსაწინააღმდეგო ქმედებაში;
   ზ) არღვევს ასოციაციის მიერ აღიარებულ ეთიკისა და ქცევის ნორმებს;
   თ) გარდაიცვალა.

მუხლი 6. ასოციაციის წევრების უფლებები და მოვალეობები

1. ასოციაციის წევრი უფლებამოსილია:
   1.1 მონაწილეობა მიიღოს ასოციაციის ხელმძღვანელ, აღმასრულებელი და მაკონტროლებელი ორგანოების არჩევნებში;
   1.2 პირადად მიიღოს მონაწილეობა ასოციაციის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში, ასოციაციის გეგმების, პროგრამების, პროექტების და ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებაში;

1.3 შეიტანოს წინადადებები და შეკითხვები ასოციაციის საქმიანობის ნებისმიერ საკითხზე ხელმძღვანელ, აღმასრულებელ და მაკონტროლებელ ორგანოებში და მიიღოს მონაწილეობა მათ განხილვაში;
1.4 ისარგებლოს შეღავათებით ასოციაციის ფასიანი მომსახურების მიღებისას;
1.5 ერთდროულად იყოს სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის წევრი, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ასოციაციის წესდებას, მის მიზნებსა და ამოცანებს;
1.6 მონაწილეობა მიიღოს ასოციაციის ქვედანაყოფების მუშაობაში;
1.7 კვალიფიკაციისა და შესაძლებლობების შესაბამისად მონაწილეობდეს ასოციაციის საქმიანობაში.

2. ასოციაციის წევრები ვალდებულნი არიან:
   2.1 ხელი შეუწყონ ასოციაციის წინაშე დასმული ამოცანების წარმატებით შესრულებას;
   2.2 დაიცვან ასოციაციის წესდება და დროულად გადაიხადონ საწესდებო შენატანები ასოციაციის მიერ დადგენილი ოდენობით;
   2.3 პირნათლად შეასრულონ მათზე დაკისრებული ვალდებულებანი, გამოიჩინონ ინიციატივა და პროფესიონალიზმი;
   2.4 ხელი შეუწყონ ურთიერთგაგებისა და მეგობრული ატმოსფეროს შექმნას;
   2.5 პოპულარიზაცია გაუწიონ აქტუარისა და ფინანსური ანალიტიკოსის პროფესიებს და ასოციაციის საქმიანობას;
   2.6 დაიცვან ასოციაციის მიერ აღიარებული ქცევის ნორმები, ეთიკის კოდექსი, შინაგანაწესი და მმართველი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;
   2.7 გაუფრთხილდნენ ასოციაციის ღირსებასა და ავტორიტეტს.

მუხლი 7. გამგეობა

1. წევრთა საერთო კრებებს შორის პერიოდში ასოციაციას მართავს გამგეობა.
2. გამგეობის სხდომა ტარდება წელიწადში ორჯერ მაინც. სხდომა მოწვეულ უნდა იქნეს სულ ცოტა 8 დღით ადრე, გამგეობის წევრისთვის დაზღვეული წერილის გაგზავნით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით, რომელიც იძლევა ადრესატის მიერ ინფორმაციის მიღების დადასტურების საშუალებას. მოსაწვევი უნდა შეიცავდეს გამგეობის სხდომის დღის წესრიგის პროექტს. მოწვევის მიღებიდან 3 დღის ვადაში გამგეობის წევრებს შეუძლიათ სხდომის დღის წესრიგში დამატებების შეტანა.
3. გამგეობის სხდომის მოწვევის უფლება აქვს გამგეობის წევრს, მის თავმჯდომარეს, წევრთა საერთო კრებასა და ასოციაციის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს. სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება გამგეობის წევრთა სრული შემადგენლობის ორი მესამედი. სხდომაზე გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ კონკრეტულ საკითხს მხარს დაუჭერს გამგეობის დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი.
4. გამგეობის სხდომის მიმდინარეობას ხელმძღვანელობს, ოქმს ადგენს და ხელს აწერს გამგეობის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - სხდომის თავმჯდომარე, რომელსაც ირჩევს ამავე კრებაზე დამსწრე გამგეობის წევრთა ნახევარზე მეტი.
5. გამგეობის კომპეტენციას განეკუთვნება შემდეგი საკითხები:

5.1. ასოციაციის მიზნებიდან გამომდინარე, ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
5.2. ასოციაციის მიერ ქონების შეძენა/გასხვისება/ვალდებულებით დატვირთვა;
5.3. სხვა იურიდიულ პირებში ასოციაციის გაწევრიანება ან პარტნიორად/ დამფუძნებლად შესვლა;
5.4. ასოციაციის ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის არჩევა და გათავისუფლება;
5.5. გამგეობის თავმჯდომარის არჩევა და გათავისუფლება;
5.6. ასოციაციის წევრების მიღება და გარიცხვა.

მუხლი 8. ასოციაციის ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

1. ასოციაციის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია ასოციაციის პრეზიდენტი. მისი არჩევა ხდება ასოციაციის წევრებიდან. როგორც არჩეული პირი, ის ანგარიშვალდებული არის გამგეობისა და საერთო კრების წინაშე. პრეზიდენტი ინიშნება არაუმეტეს 2 წლის ვადით, ხელახლა დანიშვნის უფლებით. თუ ამ ვადის ამოწურვის შემდეგ კანონით დადგენილი წესით არ განხორციელდება მისი უფლებამოსილების ახალი ვადის ან ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ცვლილების რეგისტრაცია, რეგისტრირებული პრეზიდენტის უფლებამოსილება განუსაზღვრელი ვადით გაგრძელებულად მიიჩნევა.
2. ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში ასოციაციის სახელით გადაწყვეტილებების მიღებას. პრეზიდენტი თავის ხელმძღვანელობით უფლებამოსილებას ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის, ამ წესდებისა და შინაგანაწესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესაბამისად.
3. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გულისხმობს ასოციაციის სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთიერთობაში. პრეზიდენტს აქვს ერთპიროვნული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.
4. უფლებამოსილების ფარგლებში პრეზიდენტს აქვს უფლება ასოციაციის სახელით დადოს გარიგებები, აწარმოოს მოლაპარაკებები, გამოვიდეს სასამართლოში მოსარჩელედ/მოპასუხედ, მიიღოს ორგანიზაციაში თანამშრომლები, გააფორმოს მათთან ხელშეკრულება და გადაწყვიტოს საკადრო საკითხები. პრეზიდენტი უფლებამოსილია განახორციელოს მხოლოდ ის მოქმედება, რომელიც ემსახურება ასოციაციის მიზნებს და არ აყენებს მას ზიანს. იგი ვალდებულია ასოციაციის საქმეებს გაუძღვეს მართლზომიერად და კეთილსინდისიერად. მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, პრეზიდენტი ასოციაციის წინაშე პასუხისმგებელია წარმოშობილი ზიანისათვის. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უარის თქმა ბათილია, თუ ეს აუცილებელია მესამე პირთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. პრეზიდენტის ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება იზღუდება წევრთა საერთო კრებისა და გამგეობისთვის ამ წესდებით განსაზღვრული კომპეტენციის გათვალისწინებით.
5. პრეზიდენტს უფლება აქვს გადადგეს თანამდებობიდან. ასეთ შემთხვევაში, პრეზიდენტი ვალდებულია დაიცვას ასოციაციასთან დადებული სასამსახურო ხელშეკრულებითა და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები და პროცედურები.

6. პრეზიდენტი ვალდებულია საერთო კრებას წარუდგინოს ასოციაციის საქმიანობის ანგარიში.

მუხლი 9. ასოციაციის შიდა სტრუქტურული ერთეულები

1. ასოციაციის საფინანსო საქმიანობას აკონტროლებს სარევიზიო კომისია, რომლის წევრები და თავმჯდომარე აირჩევა საერთო კრების მიერ. სერტიფიცირების საბჭო ანგარიშვალდებულია მხოლოდ საერთო კრების წინაშე.
2. ასოციაციის სახელით პროფესიულ სერტიფიკატებს გასცემს სერტიფიცირების საბჭო, რომლის წევრები და თავმჯდომარე აირჩევა საერთო კრების მიერ. სერტიფიცირების საბჭო ანგარიშვალდებულია მხოლოდ საერთო კრების წინაშე.
3. ასოციაციის წევრების პროფესიული ქცევის წესების მონიტორინგს ახორციელებს ეთიკის კომიტეტი, რომლის წევრები და თავმჯდომარე აირჩევა საერთო კრების მიერ. ეთიკის კომიტეტი ანგარიშვალდებულია მხოლოდ საერთო კრების წინაშე.
4. ასოციაციის სარევიზიო კომისია, სერტიფიცირების საბჭო და ეთიკის კომიტეტი აირჩევიან ორ წელიწადში ერთხელ.
5. ასოციაციის საერთო კრების ან გამგეობის გადაწყვეტილებით იქმნება ასოციაციის ქვედანაყოფები: სექციები, ბიუროები, დროებითი ჯგუფები, კომიტეტები, რომლებსაც ევალებათ ასოციაციის საქმიანობის გარკვეული მიმართულების წარმართვა. ქვედანაყოფები იქმნება გარკვეული ვადით, მათ ხელმძღვანელობს კრების ან გამგეობის მიერ არჩეული ასოციაციის წევრი. ქვედანაყოფი ანგარიშვალდებულია ასოციაციის გამგეობის ან საერთო კრების წინაშე.

მუხლი 10. ასოციაციის ქონება და სახსრები

1. ასოციაციის ქონება და სახსრები ყალიბდება:
   1.1 საწევრო შენატანებისაგან, რომელსაც იხდის ასოციაციის ყველა წევრი;
   1.2 ფიზიკურ ან იურიდიულ პირთა შემოწირულობებისაგან;
   1.3 კანონით ნებადართული საკონსულტაციო, სახელშეკრულებო, საგრანტო, საგამომცემლო, პედაგოგიური და სხვა საქმიანობით მიღებული შემოსავლებისაგან.
   1.4 ასოციაციის გამგეობა დადგენილი წესით აცნობებს საგადასახადო ორგანოებს მიღებული შემოსავლის შესახებ და გადაიხდის სათანადო გადასახდელებს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.
   1.5 ასოციაციას შეიძლება საკუთრებაში ჰქონდეს შენობები, ნაგებობები, სატრანსპორტო საშუალებები, ორგტექნიკა და სხვა უძრავი და მოძრავი ქონება, რაც საჭიროა ასოციაციის მიზნების განსახორციელებლად.
   1.6 ასოციაციის ქონება შეიძლება მოხმარდეს მხოლოდ მის წესდებაში მოყვანილი მიზნების განხორციელებას.

მუხლი 11. ასოციაციის სამართლებრივი ფორმის შეცვლა, რეორგანიზაცია, შერწყმა და ლიკვიდაცია

1. ასოციაციის სამართლებრივი ფორმის შეცვლა დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სამართლებრივი ფორმის შეცვლით იგი საჯარო სამართლის იურიდიულ პირად გარდაიქმნება.
2. ასოციაციის გაყოფა (დაყოფა, გამოყოფა), შერწყმა (გაერთიანება, მიერთება) და ლიკვიდაცია ხორციელდება მეწარმე სუბიექტის ლიკვიდაციისათვის/ რეორგანიზაციისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. ასოციაციის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის, ასევე ლიკვიდატორის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს წევრთა საერთო კრება.
4. ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს კრედიტორთა მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გაუნაწილდეს უფლებამოსილ პირებს.
5. გადაწყვეტილება ასოციაციის ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან.
6. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს განსაზღვრავს ასოციაციის წევრთა საერთო კრება. ლიკვიდაციისას ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ:

   ა) ხელს შეუწყობს დასახული მიზნების განხორციელებას;

   ბ) ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს;

   გ) ქონება გადაეცემა სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.
7. აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება ასოციაციის დამფუძნებლებს, წევრებს, ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებს შორის.
8. თუ ასოციაციის წევრთა საერთო კრებამ არ განსაზღვრა ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირი, სასამართლო ასოციაციის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებას გადასცემს შესაბამისად ერთ ან რამდენიმე არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომლებსაც აქვთ იგივე ან მსგავსი მიზნები, როგორიც ლიკვიდირებულ ორგანიზაციას. თუ ასეთი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი არ არსებობს ან შეუძლებელია მისი გამოვლენა, შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ. სასამართლომ ქონება შეიძლება გაანაწილოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან 6 თვის შემდეგ.
9. სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე ასოციაციის ლიკვიდაციას ახორციელებს (ახორციელებენ) სასამართლოს მიერ დანიშნული ლიკვიდატორი (ლიკვიდატორები). აკრძალულია ასოციაციის მიმართ სალიკვიდაციო და რეორგანიზაციასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელება მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების

დაწყების მომენტიდან სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე ან სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტამდე.

მუხლი 12. დასკვნითი დებულებები

1. ასოციაცია ახორციელებს თავისი საქმიანობის საბუღალტრო და სტატისტიკურ აღრიცხვას კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად.
2. ასოციაციის საფინანსო წელი დადგენილია ყოველი კალენდარული წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.
3. ასოციაციის გამგეობა განიხილავს და ამტკიცებს საქმიანობის წლიურ ანგარიშს სარევიზიო კომისიის დასკვნის შემდეგ.
4. ამ წესდების რომელიმე დებულების ბათილად ცნობა გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.